

ეკონომიკურ სუბიექტებს შორის უნაღდოანგარიშსწორება, ბიზნესის და
ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა თუ გამოწვევა

სოფიო ნადირაძე

ვახტანგ მდივანი

ნანა ონიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიეროხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

სარჩევი

აბრევიატურა	5
აბსტრაქტი	6
შესავალი	7
1. პრობლემა და კონტექსტი	9
1.1 აღნიშნულ მიმართულებით, ბაზარზე არსებული მდგომარეობის კვლევა მიზნად ისახავს:	10
1.2 მიზნების მისაღწევად კვლევაში გამოყენებულია:	10
1.3 კვლევის მეოდოლოგია	10
2. უნაღლო ანგარიშსწორების არსი	12
2.1 რას წარმოადგენს უნაღლო პოლიტიკა?	12
2.2 უნაღლო ოპერაციების სახეობები	12
2.2.1 საბანკო ჩეკი	12
2.2.2 გადახდა მოთხოვნისთანავე	13
2.2.3 ონლაინ გადაცემა - NEFT ან RTGS.....	13
2.2.4 საკრედიტო ან სადებეტო ბარათი.....	13
2.2.5 ელექტრონული საფულე	13
2.2.6 მობილური საფულეები	14
2.2.7 UPI Apps	14
2.2.8 სასაჩუქრე ბარათი.....	14
2.2.9 ელექტრონული ბანკინგი	14
2.2.10 ავტომატური გამოთვლის პროგრამულ-ტექნიკური დანადგარი (ბანკომატი - ATM)	16
3. როგორ მუშაობს უნაღლო ანგარიშსწორების პოლიტიკა	17
4. რატომ ირჩევენ უნაღლო ანგარიშსწორების პოლიტიკას?	18
4.1 უნაღლო პოლიტიკის მოსალოდნელი უპირატესობა/ბენეფიტი:.....	19
4.2 კიდევ რა უპირატესობები არსებობს?	20
4.3 მარტივი გადაწყვეტილებები.....	22

5. უნაღლო ანგარიშსწორების (ელექტრონული ბანკინგი) უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემა	24
6. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის უნაღლო ანგარიშსწორების შემოღების აქტუალურობა	25
6.1 საქართველო - განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანა.....	25
7. ნაღდი ანგარიშსწორების სისტემების საწყისები საქართველოში	26
7.1 პროკრედიტ ბანკი, როგორც „ბანკი ყველასთვის“.....	26
7.2 პროკრედიტ ბანკის უნაღლო ანგარიშსწორების განვითარების საწყისები.....	27
7.3 ინტერვიუ დავით გაბელაშვილთან	28
8. უნაღლო ანგარიშსწორების განვითარების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზური მიმოხილვა	32
8.1 გერმანიის პარადოქსული მაგალითი	33
8.2 ნიგერიისთვის უნაღლო ანგარიშსწორების სისტემა	39
8.2.1 უნაღლო ანგარიშსწორების საბანკო პოლიტიკა ნიგერიაში:.....	40
8.3 შვედეთის კლასიკური მაგალითი	44
9. საქართველოს ბაზრის კლევა, ანალიზი, შეფასება	47
9.1 კვლევის აღწერა.....	47
9.3 კვლევის შედეგების განზოგადება და ანალიზი	53
9.4 უნაღლო ანგარიშსწორების ფონის წახალისება საბანკო სექტორის მხრიდან	54
10. დასკვნითი ნაწილი	56
10.1 მთავარი მიგნებები - უნაღლო პოლიტიკის უპირატესობები	56
10.2 უნაღლო პოლიტიკის პერსპექტივა.....	58
10.3 უნაღლო პოლიტიკის უარყოფითი ასპექტები.....	59
10.4 საქართველოში ელექტრონული ფულის დანერგვასთან და გავრცელებასთან დაკავშირებული გამოწვევები:.....	60
11. დასკვნა და შემოთავაზებები	61
12. რეკომენდაციების ნაწილი	63
12.1 რეკომენდაციები შესავალი.....	63
12.2 რეკომენდაციები	63

13. შმაჯამებელი დასკვნები	66
13.1. გლობალური ტენდენციები ელექტრონული სახსრებით გადახდის სისტემებში	67
ბიბლიოგრაფია	69

აბრევიატურა

B2B – Business to Business Relationships

ICT – Information and Communication Technologies

IT – Information Technologies

ATM –Automated Teller Machine

TTGS - Real Time Gross Settlement

NEFT - National Electronic Funds Transfer

UPI - United Payments Interface

EFT - Electronic funds transfer

PIN - Personal Identification Number

CBN - Central Bank of Nigeria

CIT - Citizen

POS - Point Of Sale

აბსტრაქტი

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო ინტეგრირებული ხდება ჩვენს საზოგადოებაში. მან ფეხი მოიკიდა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სფეროში და რაღა თქმა უნდა, თითქმის სრულიად მოიცვა საბანკო სექტორიც. რთულია, წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც დღეს არ იყენებს „ელექტორულ ფულს“, საბანკო ბარათების მეშვეობით თუ „ინტერნეტბანკინგით“. ასევე, მოსალოდნელი იყო და ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ უნაღდო ანგარიშწორება ნელ ნელა ფეხს იკიდებს ასევე B2B ურთიერთობებში.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე და მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გადახდის სისტემის მაქსიმალურად მოქნილობა და ეფექტურობა. ამავდროულად, ის ძალიან სწრაფად პროგრესირებადია. ბანკები ცდილობენ ყოველდღიურად განავითარონ, დახვეწონ ან საერთოდ გამოიგონონ ახალი მომსახურება და სისტემები, რამაც უდაოდ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებას, საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობას და რაც მთავარია, მოგების მაქსიმიზაციას.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ გადახდის სისტემების ეფექტურობაზე და ხელმისაწვდომობაზე, აქ აუცილებელი კომპონენტია, რომ ასევე ჩავუღრმავდეთ და გავაანალიზოთ შემდეგი: გადახდის სისტემა ვერ მივიჩნევთ ეფექტურ სისტემად, თუ ჩვენ მის შემადგენელ არაფინანსურ ნაწილსაც არ განვიხილავთ. ისეთს, როგორცაა, მეწარმე სუბიექტებს შორის ურთიერთ ანგარიშწორების მეთოდები, ეკონომიკურ სუბიექტებსა და ბანკებს შორის ანგარიშწორების სისტემები და ბოლოს, ბანკებს შორის გადახდის (ანგარიშწორების) სისტემები.

ბოლო ათწლეულმა აჩვენა, რომ უნაღდო ანგარიშწორების სისტემები წარმოადგენს სწრაფად განვითარებად მომსახურებას, რომელიც საგრძნობლად

ამცირებს დროის დანახარჯს და ამავდროულად პრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის, რადგან იძლევა საშუალებას განხორციელდეს მაკროეკონომიკური პროცესების მონიტორინგი. ამას ასევე ცხადყოფს, როგორც მოწინავე ქვეყნებში, ისე განვითარებად ქვეყნებში უნაღლო ანგარიშწორების სისტემების დანერგვა და ზოგ შემთხვევაში ეკონომიკური სუბიექტების ნაღდი ანგარიშწორების მეთოდების გამოყენების სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვა.

რასაკვირველია, ამ პროცესს თან ახლავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. სწორედ ამ მხარეების განხილვას, შედარებას, პრიორიტეტულობისა და მიზეზშედეგობრიობის შედარებას დაეთმობა ჩვენი თემა, კვლევა და განხილვა, როგორც გლობალური მაგალითების განხილვით, ასევე საქართველოს პერსპექტივების ჭრილშიც.

შესავალი

„ფულის“ გამოგონების შემდგომ, ადამიანი სწავლობს ანგარიშწორების სხვა და სხვა ფორმების დადებით და უარყოფით მხარეებს, ნერგავს ანგარიშწორების ახალ მეთოდებს. თუმცადა, ამ საკითხის სისტემური, აკადემიურ-მეცნიერული კვლევა არ ჩატარებულა 1980 წლამდე¹.

გადახდის საშუალებების კვლევის და მითუმეტეს, ახალი სისტემების დანერგვის მთავარ ინსპირაციას, რატემა უნდა, წარმოადგენს მათი ეფექტურობის, ხარჯების მინიმიზაციისა და გამჭირვალობის მაღალი დონის მიღწევა, როგორც მიკროეკონომიკურ, ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე. აქედან გამომდინარე, თემით დაინტერესება განპირობებულია როგორც საკრედიტო და მონეტარული

¹Early studies were conducted by Godschalk (1983), Whitesell (1989), Humphrey & Berger (1990), Boeschoten (1992) and Viren (1993), to name a few.